# ერი

№ 32

წელიწადი მეორე

1914

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბათი, 11 თებერ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ე რ ი"

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეძლევათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.


სოფიო ივანეს ასული ბახტაძე-გუჯეჯიანისა და მეუღლე მისი ივანე კოსტანტინეს ძე გუჯეჯიანი ჩვენთვის უძვირფასესისა და საყვარელი ნათლიისშვილის

## ნ ა ტ ა ლ ი ა

ლუკა ქორქაშვილის ასულის უდროოთ გადაცვალების გამო, მით უფრო დამწუხრებულნი, რომ სვანეთში მყოფთ არ მოგვეცა შეძლება ნათესავური ცხარე ცრემლი დაგვეფრქვია საყვარელი ადამიანის გაცივებულ ცხედარზე,—მისი გულდათუთქული დებისა და ძმების უზომო გლოვასა და წუხილს ჩვენს მწუხარებასა და ცრემლებსაც ვუერთებთ.

სპირდონ ფირანის ძე დეკპინე ლორთქიფანიძის ასული და ბიძინა ლასხიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი ძვირფასი შვილისა, ხოლო მეორე საყვარელი ძმის ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

## შ ა ლ ვ ა ს

გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 15 თებერვალს, სოფ. ვანში.


ქალაქის თეატრი.

პარასკევს, 14 თებერვალს, გაიმართება მხოლოდ ერთი

## კონცერტი

ცნობილი მომღერალი ქალის, მარიამ პეტრე ქამართვის ასულის, რომელიიც ღირსი გახდა ემღერა მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს მოცეკვარი ქალი გ. ი. იაკუბოვის და კომპოზიტორი და პიანისტი

## ე. შილინგ-ივანოვი.

ქამართვისა შეასრულებს ახალ სიმღერებს თავისი რეპერტუარიდან, იაკუბოვისა იცეკვავს: ესპანიურათ და სხ.

ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

იმპრესარიო თ-დი ტრუბეცკოის ასული.

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო
სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რეღიკვიონის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რეღიკვიონი—დოსტაქარი, ქალთა, საზებიო . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საზებ., ქალთა და შინაგ. . . . . | 12½, 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საზებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი. წ.

## „რ ა დ ი უ მ ი"

ორშაბათიდან, 10 თებერვლიდან, ნაჩვენები იქნება ახალი დიდი პროგრამა

I.

## პატე-ჟურნალი.

II.

## წარსულის ნანგრევები

სენსაციური დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 3 ნაწ., „რეგინი ბადეს" მონაწილეობით.

III.

## თერძმა მოატყუა

მხიარული ფარს კომედია პრენსის მონაწილეობით.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 13 თებერ. ნაჩვენები იქნება დიდი მხატვრული პროგრამა

## „პლირტი კავკასიის კურორტზე"

მოქმედება წარმოებს კისლავოდსკში ქუთაისისა და თფილისის ბევრი ნაცნობთა მონაწილეობით.

## „რა მშვენიერია სიკვდილი"

ძლიერი დრამა „რუსული მხატვრული სერიიდან" 4 ნაწ. იმპერატორის თეატრის მსახიობის ვ. მაქსიმოვის და სხვათა მონაწილეობით.

## ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები
## გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი რვა თვიანია, სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

1914 წლის 2 იანვრიდან ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

## კანცელარია

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

## КОНТОРА

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ექიმი** დ. ჯაფარიძე. იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**ექიმი.** კაკიტელაშვილი. დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და დროებით იღებს ავათმყოფებს საკუთარ სახლში სომხების ქუჩაზე, კათოლიკების ეკლესიასთან.

## დაიკარგა

პასპორტი № 219 1913 წლის 26 აგვისტოს თარიღით

მნახველს ვთხოვთ მოიტანოს კიწმარიშვილის თესლეულობის მაღაზიაში.


## გუშინ და დღეს.

ვის არ ახსოვს 904—05 წლები, როდესაც ხალხის ღელვა მძვინვარე ზღვის ტალღებსავით თავგანწირულათ ეხეთქებოდა ცხოვრების სიდუხჭირის კედლებს. რომელ ბოქაულს არ მიაჩნდა იმ დროს საამაყოთ სოციალდემოკრატობა, რომელი ქვემძრომი არ ყოფილა მაშინ გატაცებული „თავისუფლებისადმი" ტრფიალით, ვინ იხედავდა უკან წამების ჯვარისგან? დაუვიწყარია ხანაც მოძრაობას შემდეგ 906—07 წლებში, როდესაც თავი წამოყვეს სხვადასხვა ჯურის შანტაჟისტებმა, რომელნიც არბევდნენ, აწიოკებდნენ, სცარცვავდნენ და ათასგვარ შევიწროებას აყენებდნენ ხალხს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისა და პარტიის სახელით? მერე როგორ გგონიათ, რისი შედეგი იყო ყოველივე ეს, რა იყო ყველა ამის მიზეზი? რა და ის პოლიტიკური გაურკვევლობა, რომელშიც თანამედროვე რუსეთი იმყოფებოდა.

გულუბრყვილო იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ რეაქციის თანამედროვე დებობითა მოღვაწეობა, მარტოოდენ სახელმწიფოს კეთილდღეობისაკენ იყოს მიმართული. ბევრს სახელმწიფო მოღვაწეს სახელმწიფო მოღვაწეობა იმდენათ სასიამოვნოთ მიაჩნია, რამდენათ მას ამგვარი მოღვაწეობა გავლენას მოუპოვებს სფერებში, უფლებას შესძენს ბძანებლობისას სხვაზე და მასთან მისი პირადი კეთილდღეობის გამაძლიერებელი და გამამაგრებელი იქნება. ამგვარ ხალხს შეიძლება ყველაფერი ბევრი ქონდეს, მაგრამ არასოდეს კი არ აქვს ნებისა და და რწმენის ძალა, იგი თავს იქით ხრის პურის თაველივით, საითაც მას ჟამთა სრბოლის ქარი ერეკება. პირმში შვილთ დაკნინებისა, დაავადებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გაურკვევლობისას სწორეთ ასეთი თვისებანი ახასიათებს. ამის მიზეზი იყო სწორეთ ის, რომ 905 წელს ყველა ბოქაული სოციალისტობდა, ყოველი ფეოდალი დემოკრატობდა და 906-ში ყველა მათ ქურქი იცვალეს. ამის გამო იყო, რომ 905-ში ბევრი რაზმელობდა, რომელნიც ერთ წელს შემდეგ რეაქციის ზურგის გამამაგრებელნი შეიქნენ. იმ დროს საქართველოში კაცი არ ყოფილა არც ერთი წრისა და მდგომარეობის, რომელსაც შუბლზე სოციალ-დემოკრატობის იერლიყი არ მიეკრას, და როგორ ფიქრობთ, რატომ? იმიტომ, რომ ძალა მაშინ ხალხში იყო, ხალხის აქტიური ხელმძღვანელები კი სოციალდემოკრატები იყვნენ. დიდი იყო ძალა ხალხისა და გავლენა დასელებისა მათზე, ყველაფერი მათ ხელში იყო, ყველაფერს იგინი განაგებდნენ და რა გასაკვირალია თუ „დროის მიმდევარი" ხალხიც მას მიეკედლა, თუმც „მიკედლებულთა" არც რწმენა და არც აზროვნება არსებითად მარქსისტულ შემეცნებას არ უახლოვდებოდა. მას შემდეგ დრონი იცვალენ. ბევრმა სახეც გამოიცვალა და სიმპატიაც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისა და პარტიისადმი. ბევრმა მათგანმა თავის „მოწოდებას" მიაგნო და რეაქციონერთა ბანაკში თავისუფლათ შერგო თავი, ბევრი გარიყული დარჩა, მაგრამ ბევრის მდგომარეობა, მრწამსი და მიმართულება დღემდი კვლავ გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული. ვინ არიან ესენი? ესენი არიან, ის ხალხი, რომელიც რეაქციას ან არ არგია' ან ვერ შეგუებია ამა თუ იმ მიზეზებისა გამო. რუსეთში ამგვარმა ხალხმა უკვე მიაგნო თავის წრეს, თავის ნავსაყუდარს, თავის „ბუდეს". იქ ამჟამათ ათასგვარი პოლიტიკური ჯგუფი არსებობს, რომელნიც უკიდურეს მემარჯვენეთადა მემარცხენეთა შუა გრძნობენ თავს თავისუფლათ. იქ უკვე ამგვარი ხალხისგან დიდიხანია ბოგინობს სხვადასხვა ჯგუფი ნაციონალისტებიდან დაწყებული კადეტებამდი. ჩვენში კი ჯერ ამგვარ რამეს ადგილი არ ქონია, რადგან აქ ჩამოუყალიბებელია ჯერჯერობით ზომიერი პოლიტიკური პარტიები ესაა მიზეზი იმისა, რომ დღეს იგი, ვინც ოქტომბრისტთა საამაყო თანაწევრი უნდა ყოფილიყო, დღეს ან ს.-დემოკრატია და ან ფედერალისტი, უფრო კი ეს უკანასკნელი; ვინაიდან თუ უწინ დასელთა გავლენა დღითიდღე ძლიერდებოდა და ხსენებული პირნიც მარტოოდენ მას ეკედლებოდენ, დღეს დასელთა გავლენა მცირდება, მის მაგიერათ ძალას მატულობს და იზდება მეორე პოლიტიკური პარტიის გავლენა და პირველის თანდათანობითი დასუსტებისა და მეორის თანდათანობით გაძლიერების მიხედვით იზდება და მცირდება არა „წმინდა წყლის" თანამგრძნობთა რიცხვიც.

ამ ჟამათ ბევრი გვიკიჟინებს, რომ ფედერალისტთა პარტიის შედგენილობა ჭრელია, მაგრამ ყოველივე ეს მცდარათ მიგვაჩნია. ჭრელია არა ფედერალისტთა პარტიის შედგენილობა, რომელიც თავის პარტიულ საქმეებში აქტივობას იჩენს, არამედ იმ თანამგრძნობთა შედგენილობა, რომელთა როლიც პასივობით განისაზღვრება და შიში იმისა, რომ მიმართულებას სათავეში არა ნამდვილი პარტიის გულშემატკივარნი ჩაუდგებიან, შეცდომათ მიგვაჩნია. ის, ვინც ვითომ ბევრის თქმით, ფედერალისტთა მიმართულებას აჭრელებს, ამ მიმართულებასა და მის საქმეებს სათავეში კი არ ჩაუდგა, მისდამი თანაგრძნობაზეც ხელს აიღებს, როდესაც ჩვენში ჩამოყალიბდება ზოგიერთი პარტია.

იმერი.

## რედაქციისაგან.

გასული წლის დეკემბერში გამოქვეყნდა იმ სასამართლოს განაჩენი, რომელსაც არჩევნებში მესამე სათათბიროს წევრის ე. გეგეჭკორისა და მთელი კავკასიის ს- დემოკრატიის ბრალდება ს. ფედერალისტებისადმი უნდა განეხილა.

მკითხველმა იცის ბრალდების მუხლები, ხოლო უმთავრესი, რომლის [illegible] მთავრობამ [illegible] სასამართლოს მუშაობა შეიცავდა შემდეგს: ერთად მოქმედობდენ არჩევნების [illegible] ს. ფედერალისტები და ადმინისტრაცია თუ არა? სასამართლომ ერთხმათ უარყო ეს ბრალდება და მით [illegible] დემოკრატიასა და მის წარმომადგენელს ე. გეგეჭკორს გარკვეულათ უთხრა, ცილის მწამებელნი ყოფილხართო. ამრიგათ სოციალ-დემოკრატია და მისი კანდიდატი ორჯერ სასტიკათ დამარცხდა. ხალხმა მას უნდობლობა გამოუცხადა. ხოლო პეტერბურგის სწორმა და მიუდგომელმა სამსაჯულომ ცილის მწამებელთა წარუშლელი დაღი დაასვა. საქმის ასეთი დასასრული მოულოდნელი არ იყო მათთვის. და იმ თავიდანვე შეეცადენ შთაბეჭდილება გაექარწყლებიათ, და თუ ვერ გააქარწყლებდენ, შეემცირებიათ მაინც. ყველამ უწყის თუ რა მწარე ლახტია ს. დემოკრატთათვის ორ ფრონტზე დამარცხება, ბრძოლის წაგება შინ და გარეთ. და აი, რომ ხალხის სამართლიანი მსჯავრი თავიდან აეშორებიათ, რომ ხალხის ყურადღება სხვა რამესაკენ მიეპყროთ, მათ მიმართეს მრავალჯერ ნაცადს საყვარელ იარაღს, მიმართეს იმ საშვალებას, რომლისთვისაც დაგმო ისინი პეტერბურგის სასამართლომ. მიმართეს ჭორსა და ცილისწამებას, ამ ხანათ შესთხზეს სასენსაციო ამბავი. არაჩვეულებრივი საზიზღარი ცილის წამება, ვითომ დეპუტატ გელოვანს როგორც ვექილს გლეხების ინტერესი გაეყიდოს, საკასაციო საჩივრის ვადა განგებ გაეშვას, გლეხების მოწინააღმდეგე მხარის თ. ერისთავებისა და სხვათა სასარგებლოთ. ეს ბრალდება იმდენათ სენსაციურია და ისე დაჟინებით იმეორებენ თითქმის ყოველდღე ს.-დემოკრატიული გაზეთები, რომ ლამის სულმოკლენი დააჯერონ. უნდა აღვიაროთ, რომ კამპანია საუცხოოთ და კარგათ ტარდება, საზოგადოებას თითქოს დაავიწყდა, ვისთან აქვს საქმე, საიდან გამოდის ასეთი საზიზღარი ცილისწამება, თითქმის დაავიწყდათ, რომ ყოველი მათი ჭორი, ასეთი გაჭირების დროს შეთხზული, ჭორათვე დარჩენილა; დაავიწყდა, რომ ეს სინიდისისაგან გარეცხილი ვაჟბატონები კიტა აბაშიძეს ქიათურის ბანკიდან ფულის გატაცებას აბრალებდენ. ასეთი სულმოკლენი ებვობენ და ყოყმანობენ. ხოლო გიორგი ზდანოვიჩზე ხომ დღესაც იმავე საზიზღარ ჭორებს სთხზვენ და ბრაზიანი ძაღლებივით უღრენენ. დღეს ზოგი გვეკითხება, რატომ პასუხს არ იძლევით, რათ არ უარყოფთ ს.-დემოკრატების ბრალდებასო. არის ცილისწამება და ჭორი, რომლის უარყოფაც კი ჩვენი და ჩვენი დეპუტატის ღირსების დამამცირებლათ მიგვაჩნია. ნუთუ ვისმე გონია, ჩვენ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ სოციალისტფედერალისტთა პარტია შანტაჟის გზას არ დასდგომია. ვისაც ამის მტკიცება საჭიროთ მიაჩნია, ის დე ცილისმწამებელთა ბანაკს შეუერთდეს, და ჩვენ მათთან პრესის საშვალებით ლაპარაკი პრესის შეურაცხყოფათ მიგვაჩნია. პრესის საშვალებით ჩვენ მათ რა უნდა ვუმტკიცოთ? ის, რომ ჩვენი დეპუტატი აფერისტი არ არის?

არა, ასეთ ხალხს პრესის საშვალებით არ ელაპარაკებიან. მათთვის ოფიციალური სასამართლო არსებობს და იქ აგებენ პასუხს, იქ უნდა დაამტკიცონ ბრალდებანი. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი უსინიდისო მოწინააღმდეგენი ყოველი ღონისძიებას ხმარობენ, გაზეთების ფურცლებზე აგვალაპარაკონ, გაიგონ რა საბუთები აქვს ხელთ დეპუტატ გელოვანს, რომ მერე შეეცადონ მის გაქარწყლებას, ისინი ხომ არაფრის წინ არ დაიხევენ, არაფერს არ დაერიდებიან, რომ საჭირო საბუთები ხელთ იგდონ, მათთვის ხომ ყოველგვარი საშვალება ნებადართულია.

აჰაოა ცილისმწამებელთა ცდა—პრესის საშვალებით რაიმე გამოგვტყუონ, ერთჯერ და სამუდამოთ ვაცხადებთ, რომ სასამართლომდი, რაც საქმის არსებით მხარეს შეეხება, არაფერს გამოვაქვეყნებთ, სასამართლოში კი დე დაამტკიცონ სინიდის წარეცხილმა ვაჟბატონებმა: 1) რომ გელოვანმა გლეხების ინტერესი ერისთავებს მიყიდა, 2) რომ გელოვანი აფერისტი და შანტაჟისტია, და თუ ეს ვერ შესძლეს, დე იცოდენ, რომ სასტიკი იქნება სასამართლოს და ხალხის მსჯავრი.

# ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწის ამასრულებელმა ქალაქის თვითმართველობას აცნობა ტექსტი იმ დეპეშისა, რომელიც მოსულია მეფის მოადგილის თანაშემწის პეტერსონისაგან: „კეთილ ინებეთ და მოახდინეთ განკარგულება,—დროებით შეჩერდეს მეფის მოადგილის წარსული წლის 24 დეკემბრის სავალდებულო დადგენილების ქუთაისში მეეზოვეთა ინსტიტუტის შემოღების სისრულეში მოყვანა. ამისათვის წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება ამ ინსტიტუტის შემოღების წესების თანდათანობით სისრულეში მოყვანის შესახებ“.

✦ მიხეილ ათანასეს ძემ ქიქოძემ ხუთი თუმანი შესწირა წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას მისე ქიქოძის სახსოვრათ გვირგვინის ნაცვლათ.

✦ როგორც გადმოგვცეს ს. ქვარიანსა და აქიმს ვასილ წერეთელს განზრახვა ქონიათ ქუთაისში გამოსცენ დიდი ყოველდღიური ქართული საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი.

✦ 13 თებერვალს ქუთაისის საკრებულო დარბაზში კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაიმართება ფრიად შინაარსიანი და საინტერესო საღამო. შემოსავალი მოხმარდება მომავალს კომერციულ სასწავლებელს. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი, ი. ბარათაშვილი და მომღერალი ქალი საბანეევისა.

✦ კვირას, 9 თებერვალს, ქალაქის თეატრში გამართულმა ბაშრინის ქალის კონცერტმა ცოტა საზოგადოება მიიზიდა, თუმცა მომღერალმა ქალმა კარგათ შეასრულა რამდენიმე სიმღერა. ამავე დღეს დილით მხვატვარ-მოგზაურმა უვაროვმა ლექცია წაიკითხა „სილამაზესა და ცხოვრებაზე“.

✦ პარასკევს, 14 თებერვალს, ქუთაისში კონცერტს გამართავს ცნობილი მომღერალი ქალი კომაროვისა.

✦ რეალური სასწავლებლის ღარიბი მოწაფეების სასარგებლოთ გამართულმა წარმოდგენამ კარგი ძალი საზოგადოება მიიზიდა გასულ შაბათს ქალ. თეატრში.

✦ 19 თებერვალს ღ. ზუგდიდში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიის მიერ გაირჩევა ფრიად სენსაციური საქმე გახუ კანკიას მკვლელობის შესახებ, რომელშიც ბრალს სდებენ უგანათლებულესი თავადის მინგრელსკის მოურავს ვლადიმერ ალშიბაიასა და ამავე თავადის იურისკონსულტს ივანე ჯაფარიძეს.

✦ 20 მარტს ზუგდიდშივე გაირჩევა საქმე სამი მეპარკე სპარსელის მოკვლის შესახებ.

✦ გუბერნატორმა დაამტკიცა ამას წინათ რიონის ოლქის მირაბათ არჩეული მ. ამირეჯიბი.

✦ ტობანიერის საშკოლო შენობას პ. ნაფეტვარიძისა, გ. და ა. როფაქიძეებისა და გოგაძის მეთაურობით 30 კაცი დასხმია თავს და შენობა მთლად დაუნგრევიათ, რომლის დაცვა ადგილობრივ ადმინისტრაციას ვერ მოუხერხებია.

✦ წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სამკითხველოს კურთხევა ტყიბულში 14 თებერვლისათვისაა დანიშნული.

✦ მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის არჩევანი გადაიდვა 16 მარტისთვის.

✦ 15 თებერვალს პეტერბურგის ქართულმა სათვისტომომ გამართა მუსიკალური საღამო საამხანაგო საკრებულოში. კონცერტში იყო როგორც ქართული, ისე სხვა სიმღერები. სცენაზე იცეკვა უზუნდარა და ლეკური ბარონესა ფონ-კლეისტისამ, რომელმაც თავისი მოხდენილი თამაშით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. კონცერტს შემდეგ იყო საერთო ცეკვა. ხალხი ბლომათ დაესწრო საღამოს და კმაყოფილიც დარჩა. სტუდენტები (ზოგიერთი) ნაციონალური კოსტიუმით იყო გამოწყობილი.

✦ 28 თებერვალს დანიშნულია ოფ. ბანძის სასამართლოს შენობის კურთხევა.

✦ 9 თებერვალს შესდგა მუხიანის სამკითხველოს საზოგადო წევრთა კრება ქუთ. განყოფილების წ.-კ. გ. საზოგადოების სამკითხველოთა მეთვალყურის მ. ღოლაბერიძის დასწრებით. არჩეულ იქნა სამკითხველოს ახალი სამზრუნველო კომიტეტი და კომიტეტის თავჯდომარე. კომიტეტის თავჯდომარეთ აირჩიეს, ს. ცქიტიშვილი, წევრებათ პ. კანდელაკი და ბ. ფუთურიძე. მათ კანდიდატათ ნ. ბაბუნაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებათ ერ. მუშლაძე, ე. ჯავახაძე, ექვ. ფუთურიძე.

# ბეჭდვითი სიტყვის შეგინება.

(იხ. „ერი“ № 30).

შევეხოთ არსებითად საგანს, გავუშინჯოთ კბილი თითოეულ მუხლს „გაწმენდილის“ ბრალდებისას.

წარმოიდგინეთ „გაწმენდილის“ წერილი პირველი სიტყვიდანვე სატყნარი სიცრუით იწყება. მეოთხე კი არა, ჯერ მესამე წელიწადიც არ დასრულებულა, რაც მე „ქუთაისს ქალაქის თავათ მოვევლინე“. ეს სიმართლის ღალატი, შეიძლება წვრილმანი რამ იყოს, მაგრამ „გაწმენდილის“ გულღვარძლიანობის დამახასიათებელი კია...

გ. ჩიქოვანმა მის არჩევას შემდეგ წარმოთქმულს სიტყვაში თავის თავი ქუთაისის აღორძინების პიონერათ დასახაო. ეს სიტყვებიც თავიდან ბოლომდი ბოროტებით გაჟღენთილი სიცრუეა. არაოდეს ჩემს თავზე და ნიჭზე გადამეტებული აზრის არა ყოფილვარ. ჩემი თავი მე თავმომწონე, მკვეხარა პიონერათ კი არ წარმომიდგენია, არა, მე ჩემს სიტყვაში მხოლოდ ის სამწუხარო ფაქტი აღვნიშნე, რომ საბრალო ქუთაისმა ამდენ ხანს ისეთი უსაჭიროესი მუნიციპალური საქმეები ვერ განახორციელა, როგორიც არის წყალსადენი, განათება, ტრამვაი და კანალიზაცია; ამ საქმეების დაუყონებლივი განხორციელება შეადგენს ჩვენი ცხოვრების უეჭველს მოთხოვნილებას-მეთქი. ვისაც ჩემი სასაცილოთ აგდება, ან შერცხვენა წინდაწინვე გადაწყვეტილი არ ქონდა, უეჭველია, ჩემს ნათქვამს ასე გაიგებდა.

ის კი მართალია, რომ, როგორც ჩემმა ღირსეულმა წინამოადგილეებმა, ისე ვერც მე შევსძელი რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში ზემოაღნიშნული დიდი მუნიციპალური საქმის განხორციელება. მერე განა ეს ჩემი უნიჭობით, დაუდევრობით ან ზიზღიანი მოხდა? ჩემს მოძულე მტრებს გარდა, ყველამ იცის, რომ, როდესაც მე ქალაქის მოურავობაზე ვთანხმდებოდი, სრულიად არ მქონდა მხედველობაში თფილი ადგილის შოვნა, სრულიად არ ვიყავი ჩემი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების მაძებარი.

ჩემს ხარბ მტრებს გარდა, ყველამ კარგათ იცის, რომ მე ქუჩაში უსაქმოთ დარჩენილი არ ვიყავი; თუ მართლა თფილს ადგილზე არის ლაპარაკი, ქუთაისის ქალაქის მოურავობაზე უფრო თფილი, უფრო წყნარი, მყუდრო ადგილი მეჭირა და ძალიან მაგრათაც ვიჯექი იმ ადგილზე; მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჩემმა მოუსვენარმა ტემპერამენტმა, თუ რაღაც შინაგანმა ძალამ ჩემი თფილი, მყუდრო და მკვიდრი ადგილი გამაცვლევია, ისეთს მოუსვენარსა და სახიფათო ადგილზე, რომლის გარშემოც, სხვა სიკეთესთან, მუდამ გაისმის შავი ყორნისებური გულის მომსერავი ჩხავილი შურით გაბოროტებული „გაწმენდილ—მოქალაქის“ მზგავსი კაცუნებისა...

ჩემს მოძულეთ ჩემთვის ეხარბებათ ქუთაისის ქალაქის მოურავობა; მე კი თამამათ შემიძლია საქვეყნოთ აღვიარო დღეს, სამი წლის სამსახურს შემდეგ, რომ ქუთაისის მოურავობა და არც გამგეობის წევრობა არავისთვის სახარბიელო და სანატრელი არ არის. ასე წარმოიდგინეთ, ქალაქის მოურავობამ სხვა სიკეთესთან ჩვენში პატივი და სახელიც კი დაკარგა. ამის მიზეზი ისევე ჩვენ გახლავართ. ჩვენს არჩეულ პირებს ჩვენვე ვამცირებთ და ვარცხვენთ ქვეყნის თვალში; პატივისცემის ნაცვლათ ყოველნაირათ შეურაცხვყოფთ საზოგადო მოღვაწეს, ვქირდავთ მას და ისეთს რასმე მოვსთხოვთ, რაც აღემატება ადამიანის ძალას.

რაც არ უნდა სთქვან ჩვენმა უსინიდისო მტრებმა, განა აშკარა არ არის, რომ საბრალო კოტე ზაქრაძე—ეს ჩინებული ადამიანი და საზოგადო მოღვაწე—შეიქნა სხვერპლი ჩვენი ქალაქის გამგეობაში სამსახურის აუტანელი, საშინელი პირობებისა? დიახ, ჩვენს გამგეობაში სამსახური, თამამათ შემიძლია ვსთქვა, დიდი გმირობაა, პირდაპირ თავდადებაა. ეს აზრი გადამეტებულათ არ მოეჩვენება იმას, ვინც დაკვირვებია ჩვენი სამსახურის საშინელს პირობებს, ან თვითონ უმსახურია იქ ცოტა ხნით მაინც.

გაითვალისწინეთ ერთს წამს, რა პირობებში მიმდინარეობს ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოღვაწეობა. თუ ერთი კერძო ოჯახის მოვლა და პატრონობა შეადგენს დიდ სიძნელეს, ქალაქი ხომ, როგორც მრავალი და სხვადასხვანაირი ოჯახი, უფრო ძნელი მოსავლელი და საპატრონოა; გარდა ამისა, რადგან ქალაქის გამგეობას მთელი ქალაქის მცხოვრებლებთან, მთელ ხალხთან აქვს საქმე, მან უნდა შესძლოს მთელი ხალხის პასუხისგაცემა, მისი დაკმაყოფილება და მომადლიერება. მან პასუხი უნდა გასცეს მთავრობას და მის დაუსრულებელს კანონიერ თუ უკანონო მოთხოვნილებას.

ყველა ამ მოთხოვნილებას ასე თუ ისე გამგეობა კიდევ გაუძლებდა, მაგრამ ყველაფერზე უარესი საშვალების—ფულის უქონლობა, კასის სიცარიელე გახლავთ. წარმოიდგინეთ მდგომარეობა იმ საბრალო კაცისა, რომელსაც მუდამ დღე ასობით მოთმინებიდან გამოსული მოვალე თავს ადგას, აზრობს და მას კი ქალაქის სალაროში ერთი გროშიც არ გააჩნია! ჩვენი ამისთანა მდგომარეობა, თუ არ დამალვენ, ჩვენმა მტრებმაც კარგათ იციან. მოვალეებისგან თავმობეზრებულს, ვინ იცის, რამდენჯერ სასოწარკვეთილებით არ დამიწყევლია ჩემი შავი ბედი და ის დღე, როდესაც ქალაქის გამგეობაში შევსდგი ფეხი. ძალიან სანატრელია, მე თქვენ გეტყვით, რომ მუდამ იმაზე იმტვრევდე თავს, რომ რაიმე სასწაული მოახდინო და ქუთაისის ცარიელი კასა ფულით გაავსო, ან რაიმე საშვალებით დაუძვრე აღარებელს თავის მომაბეზრებელ მოვალეს.

იქნება, ჩემმა ბოროტმოქმედებამ, ან უანგარიშო ფულის ფლანგვამ მიიყვანა ქალაქის კასა სიკოტრემდი? არა, ამის თქმას მხოლოდ უსინიდისო ცილისმწამებელნი თუ გაბედვენ, თვარა ყველამ ძალიან კარგათ იცის, რომ ქუთაისის ქალაქის კასა ჩემამდისაც ცარიელი იყო. ისიც კარგათ იციან, რომ ქალაქის ქონების დაზოგვა-მომჭირნეობის საქმეში ძალიან ხშირათ უკიდურესობამდისაც მივდივარ. თუ მართლა მკითხავთ, სწორეთ ამ საზოგადო ქონების სასტიკმა დაზოგვა-მომჭირნეობამ გამიჩინა ამდენი მოძულე და ჩემს წინააღმდეგ ააყაყანა ისინი.

თუ ასეთი მუყაითი და დამზოგველი იყავი, როგორ მოხთა ის, რომ ზოგიერთმა სალორიის მოიჯარადრემ ფასდაკლებულათ გამოიყიდეს ქალაქის მიწებიო,—უთუოთ წამომძახებენ ჩემი მოძულენი. ამის პასუხათ მოგახსენებთ: ერთი რომ, დედამიწაზე ჯერ არ გაჩენილა არც ისეთი კაცი და არც ისეთი დაწესებულება, რომ სამუდამოთ დაზღვეული იყოს ყოველგვარი სიყალბისა და ბოროტებისაგან; მეორეც ისა, რომ სიყალბე, რომლის წყალობითაც მოიჯარადრეებმა სალორიის მიწები გამოიყიდეს, უკვე მოხდენილი იყო გამგეობის წიგნებში ჩემი და ჩემი ამხანაგების იქ შესვლამდი: არც სიყალბის ჩამდენი მოსამსახურეები დაგვხვედრია ჩვენ გამგეობაში, რადგან ისინი ჩვენამდი იყვენ გაძევებული.

ახლა ისიც ვიკითხოთ: რით არის გამოწვეული ამდენი განგაში და ხმაურობა სიყალბით სალორიის მიწების შეძენის გარშემო? უეჭველია, რომ ყოველს შემთხვევაში ეს ხმაურობა არ არის გამოწვეული ქალაქის ზარალის გულის წვით, ვინაიდან ახლა ყველას კარგათ აქვს გაგებული, რომ ის სიყალბე ქალაქის კასას ერთი აბაზის ზარალსაც არ მიაყენებს; საქმე უკვე გადაეცა სასამართლოს, რომელმაც კიდეც გამოარკვია სიყალბე და პასუხისგებაში მისცა მისი მომქმედნი. რა კი გამოირკვევა სასამართლოს წყალობით ის, რომ სალორიის მიწები ყალბის გზით თუ საშვალებით იყო შეძენილი, უეჭველია, სასამართლო დააბრუნებიებს მოიჯარადრეებს ქალაქისთვის ან თვით სიყალბით შეძენილს მიწებს, ან ღანაკლის ფულს. ასე რომ, კიდეც ვიმეორებ, სალორიის საქმის გამოატეხილი განგაში სრულიად უსაფუძვლოა, რადგან იქ ჩადენილი სიყალბით ბოლოს ქალაქს არავითარი ზარალი არ მოელის.

ახლა გადავიდეთ მეორე ბოროტმოქმედებაზე, რომელიც ჩემს მოძულეთა აზრით, დიდათ ამცირებს ჩემს სახელს, როგორც ქალაქის მოურავისას. ვნანობ, აქაც ვერ გამოვიჩინე [illegible] რივი ძალა, რომ შეუძლებლათ გამეხად[illegible] ბოროტმოქმედება ერთი გამგეობის, ჩემ[illegible] იქ შესვლამდი [illegible] რისა, რომელმაც არ გამართლა გამგეო[illegible] ბის [illegible] გა[illegible] დასახადის ფული. ვინც განზრახ არ არი[illegible] მოწადინებული ჩემი და გამგეობის შე[illegible] სარცხვენათ და იცის, რა პირობებ[illegible] შიც მოხდა იმ ფულის მოპარვა, დარწმუ[illegible] ნებული ვარ, არ გაგვკიცხავს არც მე[illegible] არც ჩემს ამხანაგებს. ამ საქმის ჯერო[illegible] ვანათ ასახსნელათა და გასაშუქებლა[illegible] ჩვენთვის კმარა მარტო მოწმობა ისეთ[illegible] ყველასგან რიგიან კაცათ ცნობილი პი[illegible] რისა, როგორიც არის ჩვენი მწერალ[illegible] დავით კლდიაშვილი. ამისთვის ვიმოწ[illegible] მებთ ამ საპატიო პირს, რომ ის დიდ[illegible] ხანს განაგებდა ქალაქის გამგეობაში სა[illegible] ხელმწიფო გადასახადის საქმეს.

თუნდაც მართლა იმ ცოტაოდენ[illegible] სახელმწიფო ფულის მოპარვა თუ გა[illegible] ფლანგვა გამგეობის ქურდი მოსამსახუ[illegible] რისაგან იყოს უმთავრესათ მიზეზი ჩემ[illegible] და ჩემი ამხანაგების დაუდევრობის, ა[illegible] უყურადღებობისა, მერე ეს გარემოებ[illegible] აძლევს ვისმე საფუძველს გააფთრებულ[illegible] გაკიოდეს კლასიკურ სიტყვებს: „ჯვარ[illegible] აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ განა საქმი[illegible] დაინტერესებული სინიდისიერი და კეთილ[illegible] განწყობილი მსაჯული, სხვისი პი[illegible] როვნების პატივისმცემელის, ვერ უპო[illegible] ვიდა ამ შემთხვევაში კეთილსინიდისიერ[illegible] საზოგადო მოღვაწეს მის დანაშაულობი[illegible] შემამსუბუქებელ გარემოებას? თქვე[illegible] გკითხავთ: სად არის ისეთი იდეალურ[illegible] დაწესებულება ქვეყანაზე, სადაც არ მო[illegible] მხდარიყოს ან შეუძლებელი იყოს ქურ[illegible] დობა თუ სხვაგვარი ბოროტმოქმედებ[illegible] მოსამსახურისაგან, თუნდაც ათას კლი[illegible] ტულში მოათავსოთ ფული და მას დარა[illegible] ჯათ ზღაპრული ცერბერი მიუყენოთ.

აბა, მაინც არ მოიშლიან ისინი გა[illegible] ბოროტებულს ღრიალს: „ჯვარს აცვ[illegible] ჯვარს აცვ ეგე!“ ვიდრე თავის ნაღვლით სა[illegible] სე გულს არ შემოასკდებიან.

შეჩერდით, დაიმშვიდეთ მაგ თქვენ[illegible] მოუსვენარი, ღვარძლიანი გული, მ[illegible] თქვენ ვერ გამაქცევთ თქვენი უსაფუძ[illegible] ლო მხილებითა და ლანძღვა-გინებით. მ[illegible] რაც ღონე და ნიჭი შემწევს სინიდისი[illegible] რათ ვემსახურები იმ საქმეს, რომლი[illegible] თვისაც საზოგადოებამ მომიწვია და შე[illegible] მოსა თავისი ნდობით. მართალია, დიდ[illegible] მუნიციპალური საქმეები ჯერჯერობი[illegible] არც ჩემს ხელში განხორციელებულა, მაგ[illegible] რამ ამის ნამდვილი მიზეზიც ძალია[illegible] კარგათ იცის ყველამ, ვისაც ეინტერეს[illegible] ბა ჭეშმარიტება და არა მარტო კინკლა[illegible] ობა, საზოგადო საქმეში დასაგმობი ინ[illegible] რიგანობა პირადი ხასიათისა.

ქალაქის გამგეობაში შესვლისათანავე[illegible] ყველამ იცის, რა ენერგიითაც მოვკიდ[illegible] ხელი წყალსადენის, განათებისა და სხვ[illegible] მუნიციპალური საქმეების განხორციე[illegible] ლებას, მაგრამ პირველი დღიდანვე ჩემდ[illegible] სავალალოთ, ხელფეხ შემბოჭავი გარე[illegible] მოება გადამეღობა წინ და მთელი სამ[illegible] წლის განმავლობაში მასთან ბრძოლას[illegible] და დავიდარაბას შევრჩი. საქმე ისაა[illegible] რომ თავიდანვე ჩვენი ქალაქის საბჭო[illegible] უარყოფდა საოჯახო წესს მუნიციპალურ[illegible] საქმეთა განსახორციელებლათ; ის დ[illegible] დგომოდა კონცესიის გზას და კიდე[illegible] გაემართა სერიოზული მოლაპარაკება ინ[illegible] ჯინერ თავ. დადიანთანა და კანცელთა[illegible] წყალსადენისა და სხვა საქმეების შესა[illegible] ხებ. მე მომენდო ამ პირებთან კონცესიი[illegible] გაგრძობა და დასრულება. მთელი სამ[illegible] წელიწადი ამ კონცესიორებთან მიწერ[illegible] მოწერას, მასთან დავიდარაბას მოვანდო[illegible] მე და, როგორც იქნა, ბოლოს გამო[illegible] ვარკვიე, რომ ისინი ჩვენ ვერაფერს გა[illegible] გვიკეთებდენ. ამას შემდეგ ყოველივე ღო[illegible] ნე ვიხმარე, რომ ის საბჭო, რომელიც[illegible] ადრე არაფრისთვის არ თანხმდებოდა სა[illegible] ოჯახო წესზე და დიდი სესხის აღები[illegible] წინააღმდეგი იყო, დავითანხმე სამილიო[illegible] ონი სესხის აღებაზე და ქალაქის დიდ[illegible] საქმეების, ესე იგი წყალსადენის, განა[illegible] თების, კანალიზაციისა და ტრამვაის სა[illegible] ოჯახო წესით მოწყობაზე.

ვიცი, „გაწმენდილს“ და მის უბადრუკს თანამოაზრეებს სიმშვიდეს უკარგავს, ძილს უფრთხობს უკანასკნელი ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება შესახებ სხვილი სესხის აღებისა. ეს საბრალონი ჯავრით აღარ არიან,—ვაი თუ ქუთაისმა ჩიქოვანის დროს და მისი ინიციატივით სესხი მოახერხოს და დიდ[illegible]

საქმეები განახორციელოსო; მაშინ ხომ იგი სახელს გაითქვამსო! დიახ, ეს აწუხებს გულღვარძლიან კაცუნებს და კიდეც ამიტომ არის, რომ ისინი არც ყიჟინსა და არც სამარცხვინო ბეზღობას ერიდებიან, რათა გამოიწვიონ მთავრობის რევიზია და დროებით მაინც შეაფერხონ ქუთაისისთვის სესხის აღების საქმე. მაგრამ სულ ამაოა მათი მეცადინობა. შესაძლებელია, მათმა საზიზღარმა ბეზღობამ მიზანს მიაწიოს და მთავრობამ, მართლა, რევიზია გაგვიკეთოს. მერე რა? ჩვენ რევიზიისა სრულიადაც არ გვეშინია, რადგან არც ქურდები ვართ, არც ავაზაკები. შეიძლება, როგორც ყველგან, ჩვენც გვიპოვონ დიდი და პატარა დეფექტები, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ის რევიზორები ისეთი „გაწმენდილი“ და „მოქალაქის“ მზგავსი შეუბრალებელი ჯალათები არ იქნებიან, რომ სალავათი არ მოგვცენ და მაშინვე ჩამოგვახჩონ. მიუხედავათ რევიზიისა, ქუთაისის თვითმართველობა სესხს მაინც მოესწრება და, „გაწმენდილის“ სამწუხაროთ, ამ სესხით უსათუოთ მოაწყობს წყალსადენს, განათებას, ტრამვაისა და კანალიზაციას. უსათუოთ-მეთქი მისთვის, რომ თუ ეს კონცესიის საშვალებით საეჭვო იყო, აწ აღარ არის საეჭვო. კიდეც რომ აუსრულდეს ჩემს მოძულეთ გულის წადილი და აღარ ვიქნე ქალაქის მოურავათ, წარმოიდგინეთ, ქუთაისის მემატიანე ერთს დროს მაინც აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჩემს დროს დაედვა მკვიდრი საფუძველი, ჩემს დროს გადასწყდა საბოლოოთ ქალაქის უმთავრესი საქმეების განხორციელება და ამისთვის საშვალებაც მოიძებნა. ვიცი, არაფრათ ეპრიანებათ „გაწმენდილს“ და „მოქალაქეს“ ამგვარი მემატიანის მიუდგომელი სასახელო ცნობა ჩემზე, მაგრამ ნურას უკაცრავათ...

რაკი თავი დავაწიე უმთავრეს ბრალდებით, ახლა გადავდივარ უფრო წვრილმანებზე. აბა, ვნახოთ, რითი გამოიხატა, როგორც „გაწმენდილი“ ბძანებს, ჩემ მიერ „ქალაქის ინტერესების აბუჩათ აგდება და ფეხქვეშ გათელვა.

ქალაქის მოურავი ი. მ. ხიქაძე.

(გაგძელება ხვალ).

## პროფ. გ. ფ. წერეთლის დისერტაცია.

(წერილი პეტერბურგიდან)

2 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-IX აუდიტორიაში ჩინებულად გადაიხადა მეცნიერებამ ერთი დღესასწაული. დორპატის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ფ. წერეთელმა დაიცვა თავისი დისერტაცია: „მენანდრის ახალი კომედიები“ და მიიღო ბერძნული სიტყვიერების დოკტორის ხარისხი.

გიორგი წერეთელი (აზნაური ქუთ. გუბ.) დაიბადა 1873 წელს. საშვალო განათლება მიიღო პეტერბურგში ისტორია-ფილოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულს გიმნაზიაში. სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დაასრულა ოქროს მედლით, რომლითაც პროფესორთა საბჭომ დააჯილდოვა მის მიერ წარდგენილი თხზულება. იგი დასტოვეს უნივერსიტეტში და მალეც გაგზავნეს ხაზინის ხარჯით საზღვარგარეთ, სადაც მან 3 წელიწადი დაყო.

პეტერბურგს რომ დაბრუნდა, ჩააბარა მაგისტრანტის ეგზამენი, რის შემდეგ შეუდგა ლექციების კითხვას ბერძნული სიტყვიერებიდან.

1904 წელს მან წარადგინა თხზულება ბერძნული ხელნაწერების შესახებ („Система сокращенія греческихъ рукописей“), რომელიც დაიცვა იმავე წელს მაგისტრის ხარისხით.

შემდეგ ის მიიწვიეს დორპატის უნივერსიტეტში, სადაც დღემდი განაგრძობს შრომას დაწყებულ საქმეში.

გ. წერეთლის კალამს ეკუთნის მრავალი ნაწარმოები კლასიკური ფილოლოგიიდან როგორც რუსულს, ისე უცხო ენებზე. მათ შორის წიგნი: „მენანდრის ახალი კომედიები“, რომლის დაცვაც მან მოისურვა პეტერბურგის უნივერსიტეტში დოკტორის ხარისხის მოსაპოვებლათ.

ჩვენი, როგორც ოფიციალური ოპონენტები—ერთხმათ აღიარეს პროფ. თ. ზელინსკიმ და ს. ჟებელევმა—ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული, ვინაიდან ვერ ვპოვებთ ვერც ერთ საკამათო ადგილს. თქვენს ნაწარმოებში ნათლათ ვხედავთ არათუ საუკეთესო პაპიროლოგს, არამედ პირველს, რომელმაც შესძლო საბერძნეთის მწერლობის მარგალიტების აღდგენა. ამას რომ დავურთოთ ის, რომ თქვენი წიგნი საინტერესოა გარდა სპეციალისტებისა ყოველი განათლებული ადამიანისათვისაც კი, ეჭვს გარეშე იქნება, რომ ჩვენს წინაშე სდგას ნამდვილი მეცნიერი, რომლის გამოკვლევანი დიდებული და ფასდაუდებელიაო. თუმცა თქვენს წიგნში გიპოთეზებია, მაგრამ ისე შეფერადებულიო და დალაგებით არის მოხსენებული, რომ არ შეიძლება ადამიანი არ დაგეთანხმოსთ-ო.

გ. წერეთელს თავის დისერტაციაში გადათარგმნილი აქვს რუსულათ მენანდრის კომედიები ლექსათ, ლამაზი და მომხიბლველი ენით, ისე როგორც მთელი წიგნია დაწერილი ლამაზი და სუფთა ენით, რასაცა, როგორც ს. ჟებელევმა აღიარა ნაკლებათ ვხედავთ თანამედროვე მკვლევართა ნაწარმოებში.

გ. წერეთელს გადათარგმნილი აქვს მენანდრის პიესები ახლათ აღმოჩენილ (ორი წლის წინათ) დრამებიდან, აქამდის კი მხოლოდ ნაწყვეტები იყო ცნობილი.

ხანმოკლე კამათის შემდეგ (მხოლოდ წვრილმანების შესახებ: მაგ., ზოგიერთი სიტყვის საეჭვო თარგმნის შესახებ) თავჯდომარემ (პროფ. ს. პლოტონოვმა) წაიკითხა პროფესორთა საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც გ. წერეთელს მიენიჭა ბერძნული სიტყვიერების დოკტორის ხარისხი.

ს. ყაუხჩიშვილი.

## პ. ნ. ჩიკვაიძის სიტყვა
### მოსე ქიქოძის საფლავთან.

ძვირფასო მოსე!

რატომ სდუმხარ? როდესაც მოგმართავდი, შენ ჩვეულება გქონდა—თვალებს დააცეცებდი, ტკბილათ გაიღიმებდი და სახის ალერსიანი გამომეტყველებით თითქოს მეკითხებოდი: „აბა, იტყვი ჭკვიანურს ან სასიამოვნოსო“?

დღეს კი რას ვხედავ! უწყალო სიკვდილს დაუხშავს შენი ბაგე... ვეღარც შეგხვდებით გზაში მერცხალივით ცოცხალ მოხუცს, ვეღარც მოვისმენთ სამსჯავროში შენის ტკბილის ენით წარმოთქმულს აზროვან სიტყვას.

ამხანაგობისგან წილათ მხვდა სამწუხარო მონდობილება, რომ საუკუნოთ გამოგესალმოთ, ჩვენო ძვირფასო უფროსო და საამაყო ამხანაგო, ჩვენო მშვენებავ!

სულითა და გულით ვსწუხვართ, რომ უდროოთ დაგვეკარგე, ჯერ კიდევ არა უძლური მოხუცებულობით და მუდამ ჭაბუკი გულითა და გონებით; მაგრამ გვანუგეშებს ის, რომ შენ კეთილათ და პატიოსნათ აღნიშნე შენი სიცოცხლის კვალი.

ქეკლუცი და ფაქიზი ქცევა-ყოფაში სპეტაკი იყავი, ვითარცა ვექილი და საზოგადო მოღვაწე.

თუ გენიოსი არ იყავი, არც ვსწუხვართ, რადგან გენიოსობას ბევრი აყალმაყალიც მოყვება. შენ იყავი წყნარი და ნაყოფიერი მტკიცე მშრომელი; საქმეში ჩაკვირვებული, პირში მთქმელი, მომხრე აზრის თავისუფლების; ამიტომ თუ წინაალმდეგს ვერ დათრგუნავდი, არც თვითონ ქედს ხრიდი.

დღეს დაგვეკარგე, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო, მაგრამ ჩვენს გულში მუდამ ჩარჩება შენდამი ღრმა პატივისცემა, საზოგადოებაშიც არ მომკვდარხარ შენ, რადგან შენი კეთილი საქმენი, ამ საზოგადოებისთვის სამსახური, დაუვიწყარს ყოფენ შენს სახელს... შენ გვიტოვებ შენს პირმშო კუკურს და იმედი გვაქვს ის გაგვიწევს შენს მაგიერობას.

ვერ სძლიე სენს, სულით ძლიერო ამხანაგო! უკანასკნელათ გეუბნებით: მშვიდობით საუკუნოთ! განგისვენოს უფალმა, კეთილო კაცო!

## ქართველი სტუდენტობა
### ქ. ოდესაში.

დიდიხანია, რაც ოდესის ქართველი ინტელიგენცია გვპირდება „ქართ. საზოგადოების“ დაარსებას, მაგრამ ეს დაპირება სამწუხაროთ აქამდი დაპირებათ რჩება.

როგორც წინათაც სწერდენ, ოდესაში არსებობს სტუდენტთა დრამატიული წრე. (წრე კი არა, თამამათ შეგვიძლია დრამატ. დასი ვუწოდოთ), რომელიც წარმოდგენებს მართავს შეძლებისადაგვარათ.

თუმცა შენობის მხრივ დიდი შევიწროებული არიან, მაგრამ უკანასკნელ ხანს წარმოდგენები გახშირდა, თვეში ორ-სამჯერ მაინც მართვენ პოლონელების კლუბში—„ოგნისკო“-ში. აი, სწორეთ ამიტომ დიდ საჭიროებას მოითხოვს კლუბი ქართული დრამატიული წრისთვის. კრებისთვის, რეპეტიციებისთვის, წარმოდგენებისთვის და სხვა...

24 იანვარს პოლონელების კლუბში გამართეს ამ სეზონში პირველათ ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. საღამო გაიხსნა ცოცხალი სურათით: ნინო, ქეთევან და თამარი აკაკის ლექსის მიხედვით, სურათმა ეფექტების სისუსტის გამო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, აკაკის ლექსის სიმღერაც სასურველათ ვერ გამოვიდა.

ცოცხალ სურათს შემდეგ წარმოადგინეს დ. აწყურელის მიერ გადაკეთებული „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“ ერთ მოქმედებიანი ვოდევილი. ძლიერ კარგათ შეასრულეს ვოდევილი მასხულიას ასულმა, შ. იმნელმა, გ. კუპრაშვილმა და ალ. პაპავამ, მხიარულათ ჩაატარეს და ბევრიც აცინეს საზოგადოება.

სამუსიკო და სალიტერატურო განყოფილება შესდგებოდა ორი ნაწილისაგან. იქ დამსწრე საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა და გააკვირვა 12 წლის ებრაელმა აბრამოვიჩმა თავისი ხელოვნებითა და ტეხნიკით. კარგათ დაუკრა ვიოლონზე სტ. მ. მეფისაშვილმა რამდენიმე ხმა. აგრეთვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კონსერვატორიის მოწაფემ მომღერალმა სტ. ილ. კვაშალმა, რომელმაც შეასრულა „შენ გეტრფი მარად“ ბალანჩივაძისა და სხვა რუსული რომანსები. მომღერალს ხელს უწყობდა აკომპანიმენტით ზ. ჩიკვაიძის ასული. ძლიერ კარგათ წაიკითხა ალ. პაპავამ მერეჟკოვსკის „საკიამუნი“ ხელოვნურათ წაიკითხა აგრეთვე ალ. კვალიაშვილმა მონოლოგი „რა მასმევს ღვინოს“.

ხალხი საღამოს ძლიერ ბევრი დაესწრო როგორც ქართველები, ისე რუსები და ებრაელები.

დიდ მადლობას ვუძღვნით ოდესის მუშები აქაურ სტუდენტობას, რომელნიც არ ზოგვენ შრომას და საშვალებას გვაძლევენ სამშობლოს მოშორებულ მუშებს მოვისმინოთ ქართული პიესები და ქართული მუსიკა.

ალ. ჭეიშვილი.

## შენი ჭირიმე!

... შენი ჭირიმე!
გახსოვს ის ღამე?!
სოფელი ძილს მისცემოდა...
იყო დუმილი!
ბადრი მთვარე მფარველ ანგელოზათ მოევლინებოდა, თვალს არ გვაშორებდა...
გვგუშაგობდა!
და მეც ამიერის შვილდისრით გულდაკოდილი შემოგყურებდი მაგ ზღვა თვალებში, ჩემო კერპო!
შენი თვალები მეტყველებდენ თურმე გულთაზრახვასა... ვერ მიგიხვდი...
გულუბრყვილო ვიყავ...
ჩემთვის კანონი იყო შენი სიტყვა, შენი ჭირიმე!
ის ანკარაც კენჭიდან—კენჭზე როხტის და ხმაურობს, ახლა ჩვენი სიყვარულით მოხიბლულა, ფიქრებს მისცემია...
ყურს გვიგდებს,
გვჩურჩულებს...
რომ ოკეანეს უნის ჩვენი „ზღვა“ სიყვარულის ამბავი.
არ შევუშინდი ანკარის მობეზღრობას, უსულო და უგრძნობი მეგონა...
და ერთი, მხოლოდ ერთი კოცნა მოგპარე ჩემს სალოცავ ღმერთს...
ეს კი იწყინა ანკარამ,
იუცხოვა და შეშფოთდა...
და სწორეთ იქ სადაც მთვარის შუქი მარმარილოს ბურთად ჩანდა, ანკარის ზედაპირზე შეითამაშა ოქროსფეროვანმა „ნაფოტამ“ და აიაზმასავით ასხურა ნაპირის წინწკლები...
თითქო ჩვენი ბედნიერებით დამთვრალმა, მანაც ამბორი გაუგზანა შეყვარებულთ მფარველ მთვარესო.
არ გესიამოვნა ესეთი თანაგრძნობა:
თვალები დაბლა დახარე და წარბები მოღუშე...
ღიმილმა კი მაინც დახატა შენი მარჯანი ტუჩები...
რას გრძნობდი იმ დროს, რას?!.
შენი ჭირიმე!
სადღაც, შორს ჩემსავით გულ-დიდაგული „მგოსანთ მეფე“ იმასვე ევედრებოდა ეკლიან ვარდს, რასაც მე გემუდარებოდი...
ბულბული კვნესოდა...
ტყვე ვარდის სიყვარულისა...
ტიავ-ტიავ-ტიავ!..
სევდაში ნაღველ-ნარევი ჰანგით თავს ევლებოდა და თანაგრძნობას სთხოვდა უგულო ვარდს...
ვარდი შენსავე სდუმდა...
გულქვა იყო!
თანამგრძნობი სულ სხვაგან აღმოჩნდა...
ვარდის უგულობას წყემსი მიხვდა და შეყვარებულის კილოზე ააღერა სალამური. .
უნდოდა მოეხიბლა ვარდი...
აგერ ჭალაში კიდევ შაშვი გამოეხმაურა მეცხვარეს, დაიჭახჭახა და თითქოს დაემუქრა ვარდს...
ყველა ერთად კი ჩვენ თანაგვიგრძნობდა...
შენი თვალები ოცნებას მისცემოდა...
და მეც ტყვექმნილი, ქანდაკათ ქცეული ვნეტარობდი!
რას გრძნობდი იმ დროს, რას?!...
შენი ჭირიმე!
განვლო „საუკუნეებმა“...
შეყვარებულისთვის ხომ წუთიც საუკუნეა?!
მთვარიანი ღამე უკუმეთად გადამიქცია,
ანკარა—ჭაობათ,
ნაფოტას ნაცვლათ იქ ახლა გველბაყაყნი ბუდობენ,
ბულბული—საბედისწერო ჭოტივით კნავის,
შაშვის მაგიერობას ყვავი ეწევა,
ვარდის ადგილზე ეკალ-ნარი ამოვიდა და—
მეცხვარის სალამურიც დაიმსხვრა...
გულქვაო, რა დაგიშავე!?
რასა გრძნობ ახლა, რას?!
მაინც, შენ გენაცვალე!
შენი ჭირიმე!

გ. მუმლაძე.

## დაბა-სოფლები.

დ. ზუგდიდი (ოდიში). ქუთაისის ოლქის სასამართლო 19 თებერვალს დაიწყებს გახუ კანკიას მოკვლის საქმის გარჩევას. გ. კანკია იყო უმცროსი ვექილი თავ. მინგრელსკისა და ამ ორი წლის წინათ თვით მინგრელსკის სასახლის წინ მოკლეს. ამ საქმეზე პასუხისგებაში არიან მიცემული, სხვათაშორის, თავადის უფროსი ვექილი ვლადიმერ ალშიბაია და ბ. ჯაფარიძე. საქმე გაირჩევა ბ-ნი ფეოდოროვის თავჯდომარეობით. მოწვეული არიან ცნობილი ვექილები, მათ შორის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი თავ. ბარათაშვილი. მოწმე ასამდეა. ეს პროცესი ერთ კვირას მაინც გაგძელდებაო. საზოგადოებას ძალიან აინტერესებს ეს საქმე. დარბაზში, სადაც გაირჩევა საქმე ოთხას კაცამდი თუ დაეტევა. გაზეთების თანამშრომელთ ეძლევათ ცალკე ადგილი. 20 მარტს გაირჩევა მეორე საქმე, ესეც ძალიან საყურადღებოა: ოთხს სპარსელ ვაჭარზე თავდასხმა, მათი გაცარცვა და მოკვლა. პასუხისგებაში 6 კაცია მიცემული.

11 იანვარს, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში იყო გამართული სამასკარადო საღამო, პრიზით ორიგინალური ტანისამოსისთვის. პრიზი მიიღო გ-ას ქალიშვილმა, რომლის კაბაც კარიკატურით მოხატული იყო: ვითომც ზუგდიდში მატარებელი შემოსულა. დახატული იყო სახე იმათიც, ვისაც ესიამოვნებოდათ ამ ნატვრის ასრულება. ზოგიერთმა მოქალაქემ ეს შეურაცხყოფათ მიიღო და მასკას მრისხანე წინადადებითაც მიმართეს. სრულიად უადგილო თავმოყვარეობაა, ჩემის აზრით, მასკას არავის შეურაცხყოფა არ უფიქრია. ტ, საკვირველია, უბრალოთ რათ აწიწმატდენ...

ჟუმელი.

ს. სწორი (ოკრიბა). 2 თებერვალს საწირის სოფლის სამართველოსთან შეკრებილ გლეხთა ყრილობას გამოუცხადა მამასახლისმა, რათა დაედგინათ ერთი დღესასწაული ნაცვლად იმ 9 დღესასწაულისა, რომელსაც [illegible] დიან და უზომო [illegible] აგრეთვე შემცირება [illegible] ტირილსა და ქორწილებაზე. ხალხმა დიდი მადლობა უთხრა მამასახლისს ასეთი კეთილი რჩევისათვის და მიანდო კომისიას ამ საქმეების მოწესრიგება.

თუ მართლა განხორციელდა ეს საქმე და ვინმე ბოროტგამზრახველი ხელის შემშლელი არ გაუჩნდა, მთელ საზოგადოებას, რიცხვით 100 კომლს, შეეძინება წლიურათ არა ნაკლებ 20,000 მანეთისა დღესასწაულების შემცირებით, გარდა ცდენისა (თითოეული დღესასწაულის გამო უნდა ვიანგარიშოთ ორი სამი დღე დაკარგულათ მუშა ხელისათვის), ჩხუბისა მარცხებისა და სხვა უსიამოვნებისა...

მცირე ნაწილი ამ ფულისა რომ რაიმე კულტურული დაწესებულებისათვის გადასდვან, დიდათ სასიქადულო საქმე იქნება.

სასურველია, სხვა ოთხი საზოგადოებაც ოკრიბისა მიბაძავდეს ამ გონივრულ მაგალითს.

ვინმე.

## შეკითხვა
### დიმის ამხანაგობის გამგეობას.

დიდიხანია თქვენს წინააღმდეგ ბევრი არასასურველი ხმა ტრიალობს, ბევრჯერ მოვისურვეთ თქვენგან რამე გარკვეული პასუხი მიგვეღო ამ ხმების შესახებ, მაგრამ გამგეობა ყოველთვის ცდილობდა საქმე მიეფუჩეჩებია, შინაურულათ მოეწყო. ამ ჟამათ გთხოვთ პრესის საშვალებით გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1. საბჭოს წევრათ ირიცხება ლ. მაჩიტაძე, გამგეობაში კი ცოლის ძმა ვ. ჩხეიძე. ეს ეწინააღმდეგება წესდების 89 მუხლს.

2. წესდების 93 მუხ. ძალით გამგეობის კრებას უნდა ესწრებოდეს არა ნაკლებ სამი წევრისა, ნამდვილათ კი მას ესწრება ხშირათ ორი.

3. 92 მუხლიც დარღვეულია, რადგანაც გამგეობის სადგომში არ არის გამოცხადებული დღე და საათი, როდესაც უნდა ინიშნებოდეს კრება; ამით თქვენ სარგებლობთ და მაშინ იკრიბებით, როცა ბევრმა ეს არ იცის.

4. ფულის გაცემის დროს არაფერი წესრიგი არ არსებობს, აძლევთ იმას, ვისიც უფრო ხათრი გაქვთ და გეშინიათ, ამით კი ხალხი დაჩაგრული რჩება.

5. 16 იანვრის კრება ამხანაგებს ეცნობა 1—2 დღით ადრე, ზოგს სულაც არ შეტყობია, უწყებაში არ იყო აღნიშნული, რაზეც იწვევდით მათ; ეს ეწინააღმდეგება 3 მუხლს წესდებისას.

6. კრების წინადღით თქვენ ფული უნდა დაგერიგებიათ ამხანაგობისთვის, მაგრამ ეს ვერ მოახერხეთ, რადგან ვექსილი გვიან გაგზავნეთ, ხალხში კი ხმას ავრცელებდით, რომ ვითომც ამის მიზეზი ყოფილიყო ის ორი წევრი ამხანაგობისა, რომელთაც საჩივარი აღძრეს წვრილი კრედიტის ინსპექტორების წინაამდეგ.

7. წესდების 125 მუხლი დარღვეულია, რადგანაც ორი კვირით ადრე არ ყოფილა წლიური კრება და არც მოწვევა გამოკრული გამგეობის სადგომში.

8. აგრეთვე დარღვეულია 126 მუხლი, რადგანაც საბჭოს არ წარმოუდგენია კრებისთვის თავისი დასკვნა წლიური ანგარიშის შესახებ.

9. თქვენ აწარმოებდით რაღაც აგრეწოდებულ „ანანოვის აპერაციას“. ამნაირი აპერაცია წესდების ძალით არ შედგენს ამხანაგობის მიზანს, ამას შესახებ თქვენ არც ნება აგიღიათ კრებისგან და არც საჭიროთ დაგინახავთ მოხსენება წაგედგინათ მისთვის.

10. გამგეობის ერთ წევრზე არასასურველი ხმები დადის. რა იღონეთ, რომ ეს ხმები გაგეფანტათ?

11. ვინც თქვენ წინაალმდეგ ხმას ამოიღებს, თქვენ მას ემუქრებით ამხანაგობიდან გაძევებით.

12. 16 იანვარს წლიურ კრებაზე რომ კენჭისყრა მოხდა, იმ კენჭისყრას საიდუმლო ქვია, თუ—გინდა თუ არა, თეთრი ჩააგდეო“.

ეს კითხვები და მრავალი სხვაც აღელვებს ამხანაგობას და ძირს უთხრის მას, ამისთვის ძლიერ საჭიროა ამას ანგარიში გაუწიოთ და დაუყონებლივ მისცეთ პასუხი. საჭიროა ვიცოდეთ, გამგეობამ ხელობათ გაიხადა წესდების დარღვევა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კირხნერისა და სიტინის ამხანაგობისა.

**ტყავის პორტფელები** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

ქართული კედლის და ჯიბის **კალენდრები**

**კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.**

ზოგადოების საცინლათ აგდება, თუ წესდება არ გქვთ ჯერ შესწავლილი და ეს იწვევს ამას? ერთი წევრთაგანი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის ამ კვირის ნუმერში (№ 149) შეცდომით არის მოყვანილი ცნობა თითქო მე „ოთხი თვის დასვენების შემდეგ ქუთაისს დავბრუნდი და შევუდექი სამსახურს.

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არავითარი ოთხი თვის დასვენება მე არ მქონებია. მხოლოდ დაახლოვებით ერთი თვე და ნახევარი ვერ დავდიოდი სამსახურში ჩემი მძიმე ავათმყოფობის გამო.

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი **სიმონ ქვარიანი.**

## ს ი ა.

ქ. შ. წ. კ. საზ. ქუთ. განყოფილების 1913 წლის წევრებათ ჩაეწერენ შემდეგი პირნი:

1. ვასილ ტყეშელაშვილი, 2. ერმილე ჩომახიძე, 3. შალვა შათირიშვილი, 4. ვასილ ბეჟანეიშვილი, 5. გლახუა წულაძე, 6. ნოე მიქაძე, 7. ბაგრატ ბუილლიშვილი, 8. დიმიტრი ბახტაძე, 9. მიხეილ ანჯაფარიძე, 10. კონსტანტინე ყიფიანი, 11. პეტრე ჩილინგაროვი, 12. სოსო ვარდიძე, 13. ზაქარია ფირალაშვილი, 14. მიხეილ რუხაძე, 15. იროდიონ ცეხანოვსკი, 16. გრიგოლ გაბუნია, 17. მიხეილ კემულარია, 18. ანტონ შავერზოვი, 19. ერმალო ლომიძე, 20. ნესტორ კვარაცხელია, 21. პეტრე რაფაილოვი, 22. იოსებ ალიბეგოვი, 23. ვ. ს. კანდელაკი, 24 ი. ზ. ბადრიძე, 25. სიმონ მარჯანიშვილი, 26. ს. კიკნაძე, 27. ნესტორ მესხი, 28. თამარ ლომინაძის ასული, 29. სამსონ ალანია, 30. ილია შავდია, 31. პეტრე ჟვანია, 32. იასონ ჭელიძე, 33. სპირიდონ ბოლქვაძე, 34. მალხაზ ბურჭალაძე, 35. ნიკო ბარძიმიშვილი, 36. სამსონ კალანდარიშვილი, 37. ნიკოლოზ ჩიქოვანი, 38. ნესტორ დავითაია, 39. ბ. კიკნაძე, 40. ტრიფონ მიქაბერიძე, 41. სიმონ აბულაძე, 42. ვლადიმერ ჩოჩია, 43. ერასტი ბაბადოღლი, 44. გიორგი წერეთელი, 45. კლავდია წერეთლის ქალი, 46. სავლე წერეთელი, 47. ოლღა ბოკერიას ასული, 48. ვერა დოდელიას ასული, 49. კნ. სოფიო ლორთქიფანიძისა, 50. დესპინე იოსელიანის ასული, 51. მ. ცერცვაძის ასული, 52. თამარ ჩარკვიანის ასული, 53. ოლია მგელაძისა 54. თამარ მაჭავარიანის ასული, 55. ნინო მგელაძის ასული, 56. ალექსი ნაკაიძე, 57. პავლე მოსიძე, 58. ვლადიმერ ცნობილაძე, 59. გიორგი ხუნდაძე, 60. ვასილ ფანცულაია, 61. პროკოფი გეგენავა, 62. ილია მანდარია, 63. თ. აბესალომ ლორთქიფანიძე, 64. დავით ხელთუფიშვილი, 65. ვარლამ გობეჩია 66. ელენე მახარაძისა, 67. ივანე ტურიაშვილი, 68. იაკობ ჩიმაკაძე, 69. თედორე კავტიევსკი, 70. პორფილე სირაძე, 71. მიხეილ სვანიძე, 72. აპოლონ სვანიძე, 73. დიანოს ვარდოსანიძე, 74. ევგენი გეგეჭკორი, 75. ივანე ჯაფარიძე.

სია იმათი, ვისგანაც თითო მანეთის შეწირულობა შემოვიდა: მარიამ წერეთლისა, მ. გიგინეიშვილისა, კნ. ელ. წულუკიძისამ, თ. ბეს. მიქელაძემ და ნადეჟდა და ლიდია ჩიმაკიძის ქალებმა. გულითად მადლობას ვუძღვნით საზოგადოების განყოფილების აგენტებს ქ.ქ. ელენე გიორგობიანის ასულს, ელენე ბახტაძის ასულს, თამარ ლომინაძის ასულს, ოლღა მგელაძისას, მარიამ ავალიანისას, ბბ. რაჟდენ კანდელაკს, სამსონ კილაძეს, ვასილ ბეჟანეიშვილს, ლევან თუმანიშვილს. ნ. ბადრიძეს, ნესტორ დავითიას, ნესტორ ბალანჩივაძეს, ბ. კაჭახიძეს, ამბროსი სვანაძეს, კორნელი მაღრაძეს, სავლე წერეთელს, ნოე მიქაძეს, იაკობ ჩიმაკაძეს, დიანოს ვარდოსანიძეს, გიორგი შოთაძეს და გალაკტიონ თუთაფერიძეს. ვსთხოვთ დანარჩენ აგენტებსაც მოგვაწოდონ საკვიტანციო წიგნაკები.

**გამგეობა.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

---

როგორც ვიცით, გასულ წელს აბრეშუმის თესლი ბაზარზე საზოგადოთ ნაკლები იყო. წელსაც, როგორც სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, თესლი შარშანდელზე კიდევ უფრო ნაკლებია. შარშან ბევრმა ჩვენმა მყიდველმა გვისაყვედურა, თუ რატომ არ გავაგებიეთ, ან თესლი არ შევუნახეთ. ამიტომ ყველა

# პ ა ს ხ ა ლ ი დ ი ს
# აბრეშუმის თესლის

მყიდველთა საყურადღებოთ ამით ვაცხადებთ, რომ მათ თესლი ამთავითვე დაიბეჭონ, ვინაიდან თესლი დაუბევებლათ არავის შეენახება და, მაშასადამე, ბოლოს საყვედურიც უადგილო იქნება.

**ჩვენი ადრესი:** ბათომი, მარინსკი პროსპექტ, საკუთარი სახლი 10.—ერთადერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლის ბათომის, ქუთაისისა და თფილისის გუბერნიებში **მათე გაბრიელის ძე რუსიძე.**

---

# ამერიკული ვაზების სანერგე ქუთაისში
# „კლდე-ქედურული“

ყოველთვის ურჩევს მიწის ნიადაგის მიხედვით შესაფერი დაძირებული ვაზების არჩევას, აფრთხილებს მემამულეებს **რუპესტრისზე** დამყნილი ვაზების ხმარებისაგან, რომელიც იძლევა ნაკლებ მოსავალს და ღვინოც ღირსებით ნაკლები ხარისხის გამოდის, და რომელიც იწვევს ყველაზე მეტს **სოკოს ავათმყოფობას** საძირეზე. დამზადებული გვაქვს გასაყიდათ: ცოლიკოური, კრახუნა, ციცკა, წვანე, რქაწითელი, საფერავი, ოცხანური და ბევრი სხვა ჩვენებური და ევროპიული ჯიშისა და აგრეთვე საგობე საჭმელი ყურძნის ჯიშის, რომლებიც დამყნილია სხვადასხვა საძირეზე ყოველნაირი ნიადაგის მიწებისათვის. სალვინე ღვინის ვაზების ფასი—1000—75 მან. პრეისკურანტი იგზავნება უფასოთ.

---

18 დეკემბრიდან

# დაიწყო ხელის მოწერა

**იმ ეკალაძის (ი. ცანცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად**

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

**ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი **იპ. ცინცაძე.**

---

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

# „განათლება“

**მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.** **(წელიწადი მეშვიდე).**

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ქურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. **ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.**

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**

ხელისმოწერა მიიღება **თფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნუმრებიც, თითო 2 აბაზათ.

**რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.**

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянск. Грузинская Гимназія *Л. Г. Боцвадзе.*

**რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.**

---

**1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

წელიწადი მეათე. **„ნ ა კ ა დ უ ლ ზ ე“** წელიწადი მეათე

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).

თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი, მოზდილთათვის **12** წიგნი.

**36 სურათი,** წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრათ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**
**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქეველი მთები“,**
(მრავალი სურათით), **გიორგი ანთელავისა.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**თფილისში: „ნაკადულის“** რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში და ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაპაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—კ. საათაშვილთან; **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

---

გამოდება ხელისმოწერა

# „სასოფლო გაზეთზე,“

24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.

**მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.**

წლიური ფასი . . . . 4 მან.
ნახევარი წლის . . . . 2 მან.

**ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:**

2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

**ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით:** Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

---

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# „სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეხუთე)

**1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება**

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული.“ ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

**გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი**

**თფილისში და მის გარედ.**

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ. 10შ. | 8 მ.—„ | 7მ. 10შ. | 6მ. 15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ. 10შ. | 3მ. 15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ. 10შ. | — 15შ. |

**საზღვარ გარეთ.**

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15მ.—„ | 13მ. 15შ. | 12მ. 10შ. | 11მ. 5შ. | 10მ.—„ | 8მ. 15შ. | 7მ. 10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ. 15შ. | 2მ. 10შ. | 1მ. 5შ. |

**ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.**

---

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებული

# „ცხოვრება და მეცნიერება,“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველოს“-ს სასარგებლოთ.

**შ ი ნ ა ა რ ს ი.**

პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა ექიმი ს. გიგუშაძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე ექიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი შ. ქავთარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. გარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. ჟღენტი. ბავშის აღზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

---

# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

---

# რ კ ი ნ ი ს გ ზ ა.

**ქუთაისიდან მიდის**

**თფილისს:** სახალხო დილის 10 საათ. 6 წ.
ფოშტის დილის 11 საათ. 55 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ.
**ათომს:** სახალხო დილის 5 საათ. 10 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ.
ფოშტის საღამოს 5 საათ. 21 წ.
**ფოთს:** სააგარაკო დღის 4 საათ. 22 წ.
სახალხო ღამით 5 საათ. 10 წ.
ფოშტის დღით 5 საათ. 21 წ.
**შორაპანს:** სააგარაკო დღით 4 საათ. 57 წ.
**ტყიბულს:** სახალხო დილის 7 საათ. 50 წ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახალ. დილ. 7 საათ. —
ფოშტის საღამ. 6 საათ. 55 წ.
სახალხო ღამ. 1 საათ. 28 წ.
**ბათომიდან:** საფ.-სახ. დილ. 11 საათ. 14 წ.
სახალხო ღამ. 1 საათ. 27 წ.
**ფოთიდან:** სააგარ. დილ. 10 საათ. 3 წ.
სახალხო დღით 1 საათ. 20 წ.
სახალ. ღამით 1 საათ. 26 წ.
**შორაპნიდან:** სააგარ. დილის 9 საათ. 31 წ.
**ტყიბულიდან:** საღამოს — 5 საათ. 11 წ.

**ბ ი ლ ე თ ი ს ფ ა ს ი:**

| | П კლ. მან. | П კლ. კაპ. | Ш კლ. მან. | Ш კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 |
| ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.